

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული ელექტრონული
ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია
(CPV 30190000)

საკანცელარიო ნივთები CPV 30192000; დაფები CPV 30195000; მცირე საოფისე მოწყობილობები
CPV 30197000;

დაფინანსების წყარო:

საერთაშორისო საგრანტო პროექტი „რელიგიათმცოდნეობითი განათლება და რელიგიური
შემწყნარებლობა“

სავარაუდო ღირებულება 654,00 ლარი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს
კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული
ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის
2011 წელის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2015 წელი



1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

1.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო საგრანტო პროექტი „რელიგიათმცოდნეობითი განათლება და რელიგიური შემწყნარებლობა“ დაფინანსებით სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთების შესყიდვა.

1.2. შესყიდვის ობიექტის დახასიათება და რაოდენობა მოცემულია „ტექნიკური დავალება-ფასების ცხრილი“ დანართი №1-ის სახით.

შენიშვნა ფასების ცხრილების შევსებისას:

1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

1.3 თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით, ფასწარმოქმნის ადეკვატურობა დასაბუთდება, პრეტენდენტის მიერ მოსაწოდებელ საქონელზე ს სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ნიმუშების წარმოდგენით, შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

1.4 მიმწოდებლის მიერ, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის (ნიმუშების) დასაბუთების მოთხოვნის დაუზუსტებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

1.5 შეთავაზებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს მოცემულ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს, შეფუთული უნდა იქნას შესაბამისი მარკირებით.

1.6 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქონლის წარმოშობის და ხარისხის სერტიფიკატი.

2. ანგარიშსწორების ვადები და პირობები:

2.1 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით ;

2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, საქონლის მოწოდების შემდეგ - 2.3 პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სახაზინო ანგარიშიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში;

2.3 შესყიდვის ობიექტის მიღება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. შემსყიდველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადადების გამოწერის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3. მიწოდების ადგილი, პირობები და ვადები:

3.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღე.



4. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

4.1 სატენდერო წინადადება, რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის პირის სახელი, გვარი), პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ძალაშია 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

4.2 სატენდერო წინადადების ფასი დანართი №1-ის მიხედვით (მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყანა, ფირმა, და დასახელების მითითებით).

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების და ფასების ცხრილის წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა მოთხოვნებზე
- გამარჯვებულმა პრეტენდენტმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული დანართი №1-ის შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების ალტერნატიული შემოთავაზება არ განიხილება

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

7. დამატებითი ინფორმაცია

7.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

7.2 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

7.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. საკონტაქტო პირი ლელა კოპალეიშვილი ტელეფონი: 2 22 78 62
მობ: 577 94 32 94.



ტექნიკური დავალება - ფასების ცხრილი

№	მწარმოებელი კვყანა	მწარმოებელი კომპანია	შესყიდვის ობიექტის დასახელება, ძირითადი მახასიათებლები (ან მსგავსი, ეკვივალენტური)	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სრული ღირებულება
1.			კარტრიჯი HP LaserJet P1102/P1102w / M1132 / M1212nf პრინტერისათვის ბეჭდვის ტექნოლოგია: ლაზერული სახარჯი მასალის ტიპი: ტონერი ფერი : Black ; მინიმალური რესურსი: 1600 გვერდი (A4, 5%)	1		
2.			სტეპლერი 24/6 - ენერჯის დამზოგველი	5		
3.			სტეპლერის ტყვია 24/65	20		
4.			ბორდმარკერის დაფა 90-60	1		
5.			დაფის მარკერი დიდი მოცულობის ცვლადი კარტრიჯით შავი ფერის	2		
6.			დაფის მარკერი	25		
7.			კაპილარული კალამი, კონუსისებური წვერით, 0,7მმ-იანი ბურთულით. მელნის რეგულატორით, ერგონომიული ხელსაკიდით, უმაღლესი ხარისხის მელნით, ფერი: ლურჯი	10		
8.			გელიანი კალამი, მულტი ზედაპირული მელნით, რეზინის ერგონომიული სახელურით 0,5 წვერით ფერი ლურჯი	10		
9.			ბურთულიანი კალამი 0.7მმ წვერით ფერი: ლურჯი	30		
10.			ბლოკნოტი მყარი ყდით - უჯრა ზომა: A4 - 100 ფურცელი	5		
11.			ფაილი 40 mic. - უმაღლესი ხარისხის 100ცალი შეკვრაში	3		
12.			ორგანიზერი	5		
13.			სამაგიდე კომპლექტი	3		
სულ ჯამური ღირებულება ლარში:						

შენიშვნა:

კარტრიჯი დამზადებული უნდა იყოს ქარხნული წესით, ორიგინალი, თავსებადი ზემოაღნიშნულ პრინტერებთან და შეესაბამებოდეს საბეჭდი მოწყობილობების მწარმოებლის მიერ გაცემულ პარამეტრებს (სიგანე, სიღრმე, სიმაღლე, ბეჭდვის ფერი, ბეჭდვის რესურსი და ა.შ.). კარტრიჯები უნდა იყოს ქარხნული შეფუთვით, ყუთზე დატანილი გაყალბებისაგან დამცავი მოძრავი ჰოლოგრამით და სხვა დამცავი ნიშნებით. კარტრიჯები უნდა იყოს მწარმოებლის კოლოფში, კოლოფზე მწარმოებლის და მოდელის მითითებით. ვარგისიანობის ვადა მოწოდებიდან 12 თვე.



სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA 00000000) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება „ტექნიკური დავალება-ფასების ცხრილი“ დანართი #1 რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო საგრანტო პროექტის დაფინანსებით, საკანცელარიო საქონლის შესყიდვა. CPV 30100000
- 2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა მოცემულია დანართი №1-ის სახით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.
- 4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.



5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

- 5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების (შუალედური) აქტით.
- 5.2 მიღება-ჩაბარების (შუალედური) აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერის, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

- 6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1.
- 6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღე.
- 6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

- 7.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;
- 7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით, სახაზინო ანგარიშიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში;
- 7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 9.5. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
- 9.6. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

- 10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.



აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხარისხი

12.1 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს მოცემულ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს, შეფუთული უნდა იქნას შესაბამისი მარკირებით, ვარგისიანობის ვადა მოწოდებიდან 12 თვე,

12.2 „ტექნიკური დავალება-ფასების ცხრილი“ დანართი №1-ის პოზიციებზე საქონლის ინსპექტირების პერიოდში, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხაჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში შეცვალოს საქონელი ახლით;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1
რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
საგრანტო პროექტის დაფინანსებით

საიდენტიფიკაციო კოდი:

204864548

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

მიმწოდებელი

მისამართი: ქ.თბილისი;
საბანკო რეკვიზიტები:
სს „-----“
ა/ა N GE-----

ბანკის კოდი: -----

საიდენტიფიკაციო კოდი:

დირექტორი: